

დამტკიცებულია ცვლილებებით სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ
(აკადემიური საბჭოს დადგენილება № 05/01- 351, 17.07.2017)

1. პროგრამის სახელწოდება - კულტურათაშორისი კომუნიკაციები

2. მისანიჭებელი კვალიფიკაცია - კულტურის კვლევების მაგისტრი

3. პროგრამის მოცულობა კრედიტებით

120 კრედიტი (ECTS), ხანგრძლივობა - 4 სემესტრი, სემესტრში - 30 კრედიტი

4. სწავლების ენა - ქართული

5. სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი

- ინდირა მაგანია - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი

6. პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

- ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ნებისმიერი მიმართულებით
 - საერთო სამაგისტრო გამოცდის ჩაბარება
 - შიდა საუნივერსიტეტო გამოცდა სპეციალობაში (სასპეციალიზაციო დისციპლინა - კულტურათაშორისი კომუნიკაციები).
-

(საკითხები იხ. http://sou.edu.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=371&info_id=856)

- უცხო ქვეყნის მოქალაქეები მიიღებიან საერთო სამაგისტრო გამოცდის გარეშე, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

7. პროგრამის მიზანი

ბოლო ათწლეულში შეინიშნება სამეცნიერო ინტერესის საგრძნობი გაფართოება განსაკუთრებით ჰუმანიტარულ და კულტურულ მეცნიერებათა სფეროში. პირველ ადგილზე გადმოინაცვლა კულტურის, როგორც უნივერსალური კონტექსტის საკითხებმა, რომლებიც კაცობრიობის მრავალფეროვნებაში ვლინდება, აგრეთვე კომუნიკაციის თემამ, რომელიც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და ფუნდამენტალური სახეა ადამიანთა შორის ურთიერთობების დასამყარებლად.

ამიტომ შემთხვევითი არ უნდა იყოს, რომ კულტურათაშორისი კომუნიკაცია იქცა ერთგვარ დისციპლინათაშორის პასუხად საზოგადოების ინტელექტუალურ მოთხოვნებთან მიმართებაში. ბოლო დროს სხვადასხვა კულტურის წარმომდგენელთა შორის დამყარებული მჭიდრო და ინტენსიური კონტაქტები სულ უფრო მეტად ფართოვდება. გარდა ეკონომიკისა, პროფესიული და სოციალური კულტურათაშორისი კომუნიკაციების უმნიშვნელოვანეს სფეროდ იქცა პოლიტიკა, დიპლომატია, განათლება, ტურიზმი, მეცნიერება და სხვ. ჩვენს ქურნალში იბეჭდება საინტერესო პუბლიკაციები ყველა ამ მიმართულებით, ისახება კვლევის ახალი გზები.

პროგრამის აქტუალობა და ძლიერი მხარე მდგომარეობს იმაში, რომ სამაგისტრო პროგრამა "კულტურათაშორისი კომუნიკაციები" ხორციელდება Tempus-ის პროექტის ფარგლებში. პროგრამა მოდიფიცირდა და პირდაპირ ჩაიდო Tempus-ის მოთხოვნები და რეკომენდაციები, რამაც ხელი შეუწყო პროგრამის ეფექტურობის გაზრდას და გააძლიერა მისი გავლენა საქართველოში ევროკომისიისა და შესაბამისი ეროვნული სამსახურების მხარდაჭერის გზით. Tempus-ის მოთხოვნა ეხებოდა პროგრამის სტრუქტურის ნაწილში ცალკეული სასწავლო კურსების ან/და მოდულის სახით ყოფილიყო ისეთი სასწავლო კურსები, როგორცაა: კულტურის მენეჯმენტი, ადამიანური რესურსების მენეჯმენტი, თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიები და პროექტების მართვა. Tempus-ის მოთხოვნები დაკმაყოფილებულ იქნა პროგრამის ხელმძღვანელისა და პროგრამაში მონაწილე აკადემიური პერსონალის მიერ.

კულტურული გლობალიზაციის ხანაში, როცა უმაღლეს განვითარებას აღწევს ეროვნებათაშორისი კულტურული კონტაქტები, აქტუალურია სხვადასხვა დროსა და სივრცეში მცხოვრები ხალხების კავშირების შესწავლა, მათთან ურთიერთობის უნარ-ჩვევების დაუფლება. აქედან გამომდინარე, *სამაგისტრო პროგრამის მიზანია* კულტურათაშორისი სფეროს ისეთი სპეციალისტების მომზადება, რომლებიც შეიარაღებულნი იქნებიან თეორიული და პრაქტიკული ხასიათის კომპლექსური კომპეტენციებით, განსხვავებული კულტურის წარმომდგენლებთან ურთიერთობისას ადექვატური ქცევის უნარებით. ასევე პროგრამამ უნდა უზრუნველყოს მათ მიერ სხვა კულტურათა ეთიკური, სარწმუნოებრივი, ტრადიციული ღირებულებების, მენტალობის გათვალისწინება.

8. სწავლის შედეგები

ცოდნა და გაცნობიერება - კულტურათაშორისი კომუნიკაციების სამაგისტრო პროგრამის დასრულების შემდეგ მაგისტრანტმა მიიღო ღრმა და სისტემური ცოდნა, რომლის შედეგად შეიმუშავა ორიგინალური იდეები, გააცნობიერა ცალკეული პრობლემის გადაჭრის გზები:

- კულტურათაშორისი კომუნიკაციების კუთხით მაგისტრმა იცის კულტურათაშორისი კომუნიკაციების თეორიის ძირითადი ცნებები, სპეციფიკური თავისებურებანი, მისი სახეები, ფლობს სათანადო ტერმინოლოგიას;
- კულტურის მენეჯმენტის კუთხით ფლობს ინფორმაციას მენეჯმენტის თეორიისა და პრაქტიკის თანამედროვე მდგომარეობის შესახებ, ესმის მენეჯმენტის სპეციფიკა კულტურის სფეროში, აცნობიერებს საქველმოქმედო ორგანიზაციების როლს და მნიშვნელობას კულტურის განვითარებაში;
- კულტუროლოგიის თვალსაზრისით მაგისტრმა შეისწავლა საზოგადოების კულტურული ფენები, ცალკეული ცივილიზაციების კულტურა მათი განვითარების, ურთიერთშეღწევის, და ზოგადად კაცობრიობის კულტურაზე გავლენის კუთხით, აცნობიერებს ისტორიულ-კულტურულ პროცესებს, კულტურას განიხილავს როგორც კულტურულ ფენომენტა სისტემას და ესმის კოლტურის მენტალური შინაარსი.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი - სწავლის პროცესში მიღებული ცოდნისა და კომპეტენციის გამოყენებით მაგისტრს შეუძლია კომპლექსური პრობლემების იდენტიფიცირება, ანალიზი და მათი გადაჭრა როგორც ხელმძღვანელის დახმარებით, ასევე დამოუკიდებლად:

- მაგისტრს გამოუმუშავდა კულტურათაშორისი კომუნიკაციების სფეროში უახლესი მიღწევების გათვალისწინებით საკვლევო ტექსტებისადმი კულტუროლოგიური ხასიათის კომენტარების დართვის უნარი;
- შეუძლია კულტურათაშორისი და ეროვნებათაშორისი დიალოგის სცენარის შემუშავება;
- კულტურათაშორისი და ეროვნებათაშორისი დიალოგის შესაბამისი დოკუმენტაციის ადექვატურობისა და ეფექტურობის გამოვლენა და შეფასება.

დასკვნის უნარი - პროგრამის დამთავრებისას კურსდამთავრებული არის უკეთ მომზადებული საზოგადოებაში მისი მომავალი როლისათვის, რაც წარმატებულ მოქალაქედ ჩამოყალიბებასა და დასაქმების უკეთ შესაძლებლობაში გამოიხატება და გამოიმუშავა იდეებისა და აზრების გაგებისა და მანიპულირების უნარები; შეიძინა დაგეგმვისა და ორგანიზების, გადაწყვეტილების მიღებისა და პრობლემების გადაჭრის უნარი.

კომუნიკაციის უნარი - კურსდამთავრებულმა შეიძინა ტექნოლოგიური მოწყობილობების, გამომთვლელი ტექნიკის გამოყენებისა და ინფორმაციის მენეჯმენტის უნარები; პროგრამის ძირითადი ენის (ინგლისური) გავლის შედეგად კურსდამთავრებულმა შეიძინა ლინგვისტური უნარები, რაც გამოიხატება ზეპირ და წერილობით კომუნიკაციაში როგორც მშობლიურ, ისე ინგლისურ ენაზე.

სწავლის უნარი - პროგრამის დასრულების შემდეგ მაგისტრმა შეიძინა სისტემური უნარები, რაც მდგომარეობს სწავლის, ახალ სიტუაციაში ადაპტირების, ავტონომიურად და ჯგუფურად მუშაობისა და მართვის უნარებში.

ღირებულებები- კულტურათაშორისი კომუნიკაციის დამყარების დროს სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებული ხელმძღვანელობს ტოლერანტობისა და ეთნოკულტურული ეთიკის პრინციპებით, ამჟღავნებს საურთიერთობო მხარის კულტურის პატივისცემასა და ამასთანავე საკუთარი ღირებულებების თვითმყოფადობის შეგრძნებას; კულტურათაშორისი ურთიერთობის გათვალისწინებით ახდენს საკუთარი საქციელის მოდიფიცირებას; შეუძლია კომუნიკაციური ხარვეზების მიზეზების დადგენა და მათი და აღმოფხვრა; სწორად ირჩევს საკომუნიკაციო სტრატეგიას და უცხო კულტურების წარმომადგენლებთან ურთიერთობების დროს იყენებს ეტიკეტის ნორმებს. ამ ნაბიჯებმა ხელი შეუწყო კულტურათაშორისი კომუნიკაციის დახვეწას და კულტურათაშორისი ურთიერთობის სპეციალისტის ფორმირებას.

9. სამაგისტრო პროგრამის სტრუქტურა

| № | სასწავლო კურსი/მოდული | კოდი | ECTS | საათების რაოდენობა | | კრედიტების განაწილება სემესტრების მიხედვით | | | | ლექტორი | წინაპირობა |
|---|--|-----------|------|--------------------|---------------|--|----|-----|----|--|--------------------|
| | | | | საკონტაქტო | დამოუკიდებელი | I | II | III | IV | | |
| | | | | | | | | | | | |
| პროგრამის სავალდებულო სასწავლო კურსები/კომპონენტები - 90 კრედიტი | | | | | | | | | | | |
| 1. | უცხო ენა I (ინგლისური 1) | ENGL M201 | 3 | 35 | 40 | 3 | | | | სსუ ასისტენტ პროფესორი <i>მაია მარღანია</i> | წინაპირობის გარეშე |
| 2. | უცხო ენა II (ინგლისური 2) | ENGL M202 | 3 | 35 | 40 | | 3 | | | სსუ ასისტენტ პროფესორი <i>მაია მარღანია</i> | ENGL M201 |
| 3. | აკადემიური წერა | ACAD M201 | 3 | 35 | 40 | 3 | | | | სსუ ასისტენტ პროფესორი <i>ნონა ჯეჯიაია</i> | წინაპირობის გარეშე |
| 4. | კულტურათაშორისი კომუნიკაციები I | CULT M201 | 6 | 50 | 100 | 6 | | | | სსუ ასოცირებული პროფესორი <i>ინდირა ძგანია</i> | წინაპირობის გარეშე |
| 5. | კულტურის კვლევები | CULT M220 | 6 | 50 | 100 | 6 | | | | სსუ ასოცირებული პროფესორი <i>ინდირა ძგანია</i> | წინაპირობის გარეშე |
| 6. | კულტურათაშორისი კომუნიკაციები II | CULT M202 | 6 | 50 | 100 | | 6 | | | სსუ ასოცირებული პროფესორი <i>ინდირა ძგანია</i> | HUM M201 |
| 7. | ადამიანური რესურსების მენეჯმენტი | CULT M205 | 6 | 50 | 100 | | | 6 | | სსუ ასოცირებული პროფესორი <i>რომეო გალდავა</i> | წინაპირობის გარეშე |
| 8. | საქმიანი ურთიერთობების კულტურა | CULT M215 | 6 | 50 | 100 | | 6 | | | სსუ ასოცირებული პროფესორი <i>ლია სვანიძე</i> | წინაპირობის გარეშე |
| 9. | საზოგადოება და კულტურა | CULT M208 | 3 | 35 | 40 | | 3 | | | სსუ ასოცირებული პროფესორი <i>ხათუნა ამალოზელი</i> | წინაპირობის გარეშე |
| 10. | მხატვრ. თარგმანი როგორც კულტურათაშორ. დიალოგის ფორმა | CULT M209 | 6 | 50 | 100 | | | 6 | | სსუ სრული პროფესორი <i>ოლღა პეტრიაშვილი</i> | წინაპირობის გარეშე |

| | | | | | | | | | | | |
|---|---|-----------|----|-----|-----|--|----|----|----|---|------------------------------|
| 11. | კულტურის მენეჯმენტი | CULT M210 | 6 | 50 | 100 | | | 6 | | მოწვეული სპეციალისტი, დოქტორი <i>ჟ. ვარძელაშვილი</i> | წინაპირობის გარეშე |
| 12. | პროფესიული პრაქტიკა | CULT M211 | 6 | 105 | 45 | | | 6 | | | I და II სემესტრის საგნები |
| 13. | სამაგისტრო ნაშრომი | CULT M212 | 30 | 65 | 685 | | | | 30 | | I-III სემესტრის საგნები |
| პროგრამის არჩევითი სასწავლო კურსები - 30 კრედიტი | | | | | | | 12 | 12 | 6 | | |
| 1. | სოციალური ფსიქოლოგია | CULT M213 | 6 | 50 | 100 | | | | | მოწვეული სპეციალისტი ფილოსოფიის დოქტორი ლუიზიდე ჯახაია | წინაპირობის გარეშე |
| 2. | პროფესიული თურქული ენა | CULT M203 | 6 | 50 | 100 | | | | | სსუ ასოცირებული პროფესორი ილიას უსთუნიერი | წინაპირობის გარეშე |
| 3. | საქმიანი რუსული ენა | CULT M204 | 6 | 50 | 100 | | | | | სსუ ასოცირებული პროფესორი მაკა კაჭარავა | წინაპირობის გარეშე |
| 4. | ბიზნეს ინგლისური ენა | CULT M206 | 6 | 50 | 100 | | | | | სსუ ასისტენტ პროფესორი მაია მარღანია | წინაპირობის გარეშე |
| 5. | ევროპეიზმი ქართულ მწერლობაში | CULT M214 | 6 | 50 | 100 | | | | | მოწვეული სპეციალისტი ფილოლოგიის დოქტორი ირმა ზაქარაია | წინაპირობის გარეშე |
| 6. | მენეჯმენტი და ბიზნესი კულტურათ. კომუნიკაციებში | CULT M207 | 6 | 50 | 100 | | | | | სსუ ასოცირებული პროფესორი ლარისა თაკვალანძე | წინაპირობის გარეშე |
| 7. | ლინგვოკულტუროლოგია | CULT M216 | 6 | 50 | 100 | | | | | სსუ ასოცირებული პროფესორი ინდირა ძაგანია | წინაპირობის გარეშე |
| 8. | კულტურული ტურიზმი | CULT M217 | 6 | 50 | 100 | | | | | სსუ ასოცირებული პროფესორი მალხაზ ღვინჯილია | წინაპირობის გარეშე |
| 9. | კულტუროლოგია | CULT M218 | 6 | 50 | 100 | | | | | მოწვეული სპეციალისტი ფილოსოფიის დოქტორი ლუიზიდე ჯახაია | წინაპირობის გარეშე |
| 10 | თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიები | COMP M255 | 6 | 50 | 100 | | | | | სსუ ასოცირებული პროფესორი რომეო გალდავა | წინაპირობის გარეშე |
| ს უ ლ - 120 კრედიტი | | | | | | | 30 | 30 | 30 | 30 | |